

ბავშვთა რუტინულ იმუნიზაციაზე კითხვა-პასუხის სახელმძღვანელო

2025

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები:	4
1. რატომ უნდა ავიცრათ?	4
2. რატომ არის საჭირო ბავშვების ვაქცინაცია?	4
3. რა ხდება თუ არ ავცრით ბავშვს?	5
4. რატომ იწყება ვაქცინაცია ადრეული ასაკიდან?	5
5. უსაფრთხოა თუ არა ვაქცინები მცირე ასაკის ბავშვების და ჩვილებისთვის?	6
6. აქვს თუ არა ვაქცინებს გვერდითი მოვლენები?	7
7. არის თუ არა კავშირი ვაქცინებსა და აუტიზმს შორის?	7
8. რატომ არის საჭირო ვაქცინის რამდენიმე დოზა?	8
9. შემძლია დავაგვიანო ვაქცინაცია ან სხვა განრიგს მივყვე?	8
10. შეიძლება ბავშვის აცრა თუ ის ავადა?	9
11. საჭიროა ბავშვის აცრა, თუ ის ისევ დედის რძით იკვებება?	9
12. თუ ბავშვი ჯერ ბაღში და სკოლაში არ დადის, მაინც საჭიროა ვაქცინაცია?	10
13. ხასიათდება თუ არა აპვ საწინააღმდეგო ვაქცინები გრძელვადიანი გვერდითი მოვლენებით?	10
14. მსმენია, რომ წყყ/MMR ვაქცინა წარმოებულია ინდოეთში და არა ევროპაში. ნამდვილად შეიძლება ვენდოთ მის ხარისხს?	10
15. „მე მჯერა, რომ ღმერთი დაიცავს ჩემს შვილს. რატომ უნდა ავცრა?“	11
16. როგორია ვაქცინების შემადგენლობა და შემუშავების ტექნოლოგიები ?	11
17. რა განსხვავებაა ახალი ტრადიციულ/ძველ ვაქცინებს შორის?	12
18. გამოიყენება თუ არა ნანოტექნოლოგიები, დნმ/რნმ კომპონენტები	13
19. არსებობს თუ არა პროტეინული მასალები ვაქცინებში	13
20. შესაძლებელია თუ არა აცრა ალერგიის ან ატოპიური დერმატიტის დროს?	14
21. თუ ბავშვს უკვე აქვს ალერგია- ვაქცინა უსაფრთხოა?	14
22. რატომ კეთდება აცრა ბარძაყის გარეთა ზედაპირზე?	14
23. რამდენად საშიშია აცრის ადგილზე შეშუპება?	15
24. უნდა დაყოვნდეს თუ არა ვაქცინირებული პირი აცრის შემდეგ კლინიკაში?	15

25.	ცდიან თუ არა ვაქცინებში იმ კომპონენტებს, რომლებიც ადამიანებზე გამოიყენება?	15
26.	მართალია თუ არა, რომ აცრებმა შეიძლება გამოიწვიოს აუტოიმუნური პროცესები ან ემბრიონის დაზიანება?	16
27.	ზაფხულში უნდა ავცრა თუ არა ბავშვი?	16
28.	რატომ უნდა ვენდო ვაქცინებს და სად შეიძლება ვიპოვო სანდო ინფორმაცია?	17
29.	რატომ არის აუცილებელი ვაქცინაციის თანმიმდევრობის დაცვა?	18
30.	როგორ განისაზღვრება ვაქცინაციის მიზნობრიობა?	18
31.	თუ B ჰეპატიტი სქესობრივი გზით გადამდებია, ჩვილების ვაქცინაცია რატომაა საჭირო?	19
32.	როგორ მოვიქცე ბავშვის გეგმიური აცრის შემდეგ?	20
33.	ემართებათ თუ არა კატებს ცოფი და როდის უნდა ავცრა ბავშვი ცოფზე?	21
მიტები და ფაქტები:		22
1.	მართალია თუ არა, რომ წითელა-წითურა-ყბაყურას (წწყ/.....	22
	/MMR) ვაქცინა იწვევს აუტიზმს?	22
2.	შეიძლება თუ არა ვაქცინაციამ სერიოზული გვერდითი მოვლენები, მაგალითად დიაბეტი ან ცერებრული დამბლა გამოიწვიოს?	22
3.	შეიძლება თუ არა, ავიცრათ ბავშვი მსუბუქი გაციების ან სეზონური ვირუსის დროს?	22
4.	მართალია თუ არა, რომ რეგიონებში გამოყენებული ვაქცინები განსხვავდება და ნაკლები ხარისხისაა, ვიდრე თბილისში?	23
5.	რატომ უნდა ავცრათ ბავშვი აპვ ვაქცინით, როცა ის ახალია და ბევრი კითხვა იზადება?	23
6.	ინტერნეტში უამრავი შემაშფოთებელი პოსტი ვნახე – როგორ დავრწმუნდე, რა არის სიმართლე?	23
7.	საჭირო არის თუ არა ნევროლოგთან ვიზიტი ან სისხლის ანალიზი აცრამდე?	23
8.	თუ ვაქცინები გამოვტოვე, უკვე გვიან ხომ არ არის?	24
9.	ნამდვილად საჭიროა ყველა დოზის გაკეთება თუ ერთი-ორი აცრაც საკმარისია?	24
10.	შესაძლებელია თუ არა, რომ ვაქცინამ ბავშვის მეტყველების შეფერხება გამოიწვიოს? ..	24
11.	შესაძლებელია თუ არა, რომ ვაქცინამ შეასუსტოს ბავშვის იმუნური სისტემა?	25
12.	რატომ ხდება, რომ ზოგიერთი აცრილი ბავშვიც მაინც ავადდება?	25
13.	რატომ არის მნიშვნელოვანი აცრა მაშინაც კი, როცა დაავადებები იშვიათია ან აღარ გვხვდება?	25
14.	რა უნდა ვქნა, თუ ჩემი ოჯახის წევრები ან მეგობრები ეწინააღმდეგებიან ვაქცინაციას?	26
15.	მართალია თუ არა, რომ აცრის დროს ბავშვს სპეციალურად „აინფიცირებენ“?	26
16.	შეიძლება თუ არა ბავშვის აცრა ჰემანგიომის დროს?	27

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები:

1. რატომ უნდა ავიცრათ?

ვაქცინაცია აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო:

დაცვა სერიოზული დაავადებებისგან - ვაქცინაცია იცავს ისეთ საშიშ ინფექციურ დაავადებათაგან, როგორებიცაა ყივანახველა, დიფთერია, წითელა, პოლიომიელიტი, გრიპი და სხვა. ამ დაავადებებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები ან სიკვდილიც კი.

საზოგადოებრივი იმუნიტეტის შექმნა – როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ვაქცინირებულია, ვირუსებს და ბაქტერიებს უჭირთ გავრცელება. ეს ეხმარება იმ ადამიანებსაც, ვინც ვერ იკეთებს ვაქცინას (მაგალითად, იმუნოდეფიციტის მქონე პირებს, ასაკობრივი შეზღუდვა).

დაავადებების ელიმინაცია - ვაქცინაციამ უკვე გააქრო ან მნიშვნელოვნად შეამცირა ისეთი დაავადებები, რომლებიც ადრე გავრცელებული იყო მთელ მსოფლიოში (მაგალითად, ყვავილი და პოლიომიელიტი).

ეკონომიური და სოციალური სარგებელი – დაავადებების პრევენცია უფრო იაფია, ვიდრე მათი მკურნალობა. ვაქცინაცია ამცირებს ოჯახის, ჯანდაცვის სისტემისა და საზოგადოების ფინანსურ ტვირთს.

ჯანსაღი მომავალი თაობა – ვაქცინირებული ბავშვები ჯანმრთელად იზრდებიან, უკეთ სწავლობენ და უკეთესად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რომ შევაჯამოთ, ვაქცინაცია უსაფრთხო, გამოცდილი და ეფექტური საშუალებაა ბავშვების ჯანმრთელობისა და საერთო კეთილდღეობის დასაცავად.

ჯანმრთელობის მსოფლო ორგანიზაციის ინფორმაციით, ვაქცინაციის წყალობით, ყოველ წელს ხუთ მილიონამდე ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელია.

2. რატომ არის საჭირო ბავშვების ვაქცინაცია?

ბავშვების იმუნური სისტემა ჯერ კიდევ სუსტია - ახალშობილებსა და პატარებს ჯერ არ აქვთ სრულად ჩამოყალიბებული იმუნიტეტი, ამიტომ მათი ორგანიზმი ვერ ებრძვის ინფექციებს ეფექტურად. ვაქცინა ეხმარება მათ იმუნურ სისტემას “ისწავლოს”, როგორ დაიცვას თავი მავნე მიკრობებისგან.

ბავშვებს აქვთ ხშირი კონტაქტი თანატოლებთან - ბაღში, სკოლაში, სათამაშო მოედანზე ბავშვები მუდმივად ურთიერთობენ ერთმანეთთან. ეს ზრდის ინფექციების სწრაფად გავრცელების რისკს. ვაქცინაცია ამცირებს ავადობის ალბათობას და იცავს როგორც ბავშვს, ისე მის გარშემომყოფებს.

ბავშვთა ბევრი ბევრი დაავადება განსაკუთრებით საშიშია მათთვის - ისეთი ინფექციები, როგორიცაა წითელა, ყივანახველა ან მენინგიტი, ბავშვებში ხშირად უფრო მძიმედ მიმდინარეობს და შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები ლეტალური გამოსავალიც კი..

ვაქცინაცია იცავს არა მხოლოდ დღეს, არამედ მომავალშიც - ბავშვობაში მიღებული ვაქცინები უზრუნველყოფს ხანგრძლივ ან ზოგჯერ მუდმივ იმუნიტეტს, რაც მომავალში იცავს მათ სერიოზული დაავადებებისგან.

ბავშვები ვერ ირჩევენ, ამიტომ უფროსების პასუხისმგებლობაა მათი დაცვა - პატარები ვერ წყვეტენ, აიცრან თუ არა, ამიტომ მშობლებისა და სახელმწიფოს ვალია, დაიცვან ისინი ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისგან.

3. რა ხდება თუ არ ავცრით ბავშვს?

თუ ბავშვი არ არის აცრილი, მეტია შანსი თავადაც დაავადდეს და სხვებიც დააყენოს რისკის ქვეშ, მაგალითად, ჯერ კიდევ აუცრელი ახალშობილები, დაბალი იმუნიტეტისა თუ ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები.

რაც უფრო მეტია აუცრელი ადამიანების რაოდენობა, მით უფრო დიდი შანსია გამწვავდეს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და გართულდეს ისეთ დაავადებებთან ბრძოლა, რომლის თავიდან აცილებაც უკვე შესაძლებელია ვაქცინაციის გზით.

ბავშვებს აქვთ ხშირი კონტაქტი თანატოლებთან - ბაღში, სკოლაში, სათამაშო მოედანზე ბავშვები მუდმივად ურთიერთობენ ერთმანეთთან. ეს ზრდის ინფექციების სწრაფად გავრცელების რისკს. ვაქცინაცია ამცირებს ავადობის ალბათობას და იცავს როგორც ბავშვს, ისე მის გარშემომყოფებს.

4. რატომ იწყება ვაქცინაცია ადრეული ასაკიდან?

- ვაქცინაცია ადრეულ ასაკიდან იწყება იმიტომ, რომ სწორედ ამ პერიოდში ბავშვის ორგანიზმი ყველაზე მეტად საჭიროებს დაცვას.
- ბავშვი დაბადებისთანავე დაუცველია ინფექციების მიმართ - ახალშობილი გარკვეულ იმუნიტეტს იღებს დედისგან, მაგრამ ეს დაცვა მხოლოდ რამდენიმე თვე

გრძელდება. როცა ის ქრება, ბავშვი მარტივად შეიძლება დაავადდეს. ამიტომ ვაქცინაცია ეხმარება მის ორგანიზმს დროულად „ისწავლოს“ როგორ დაიცვას თავი.

- მცირე ასაკში ზოგიერთი ინფექცია განსაკუთრებით საშიშია - ისეთი დაავადებები, როგორიცაა დიფთერია, ყივანახველა, პოლიომიელიტი ან წითელა, სწორედ ჩვილებსა და მცირეწლოვან ბავშვებში იწვევს ყველაზე მძიმე გართულებებს. ადრეული ვაქცინაცია ამ რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.
- იმუნური სისტემა ადრეულ ასაკში კარგად „სწავლობს“ - ბავშვის იმუნიტეტი ადვილად აღიქვამს და იმახსოვრებს ვაქცინის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას. ეს ნიშნავს, რომ დროულად გაკეთებული აცრები უფრო ეფექტურად აძლიერებს დაცვას.
- ვაქცინაცია ეტაპობრივ პროცესია - ბევრი ვაქცინა კეთდება რამდენიმე დოზად (მაგალითად, 2, 3, 4 და/ან 12 თვის ასაკში). ადრეული დაწყება საშუალებას იძლევა, რომ ბავშვმა სრულად და დროულად განუვითარდეთ იმუნიტეტი.
- სიცოცხლის პირველი წლები ყველაზე სარისკო პერიოდია - სწორედ ამ დროს ბავშვი პირველად ეხება გარე სამყაროს, სხვა ადამიანებს, გარემოსა და ბაქტერიებს. ამიტომ მისი დაცვა თავიდანვე მნიშვნელოვანია.

5. უსაფრთხოა თუ არა ვაქცინები მცირე ასაკის ბავშვების და ჩვილებისთვის?

ვაქცინები სრულიად უსაფრთხოა ნებისმიერ ასაკში, მათ შორის მცირე ასაკის ბავშვებშიც.

ისინი სპეციალურად შემუშავებულია ისე, რომ დაიცვას ბავშვი დაავადებებისგან უსაფრთხოდ და ეფექტურად.

აი, რატომ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებულები მათ უსაფრთხოებაში:

- ვაქცინები მკაცრად მოწმდება გამოყენებამდე - თითოეულ ვაქცინაზე ტარდება მრავალწლიანი კვლევები და გამოცდები ათასობით ადამიანზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ის უსაფრთხოა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და ეროვნული მარეგულირებელი სამედიცინო უწყებები იძლევენ ნებართვას მის გამოყენებაზე. ვაქცინების ეფექტურობის და უსაფრთხოების მონიტორინგი ხორციელდება უწყვეტად.
- ვაქცინები შეიცავს მხოლოდ აუცილებელ ინგრედიენტებს - ისინი არ შეიცავს ცოცხალ, დაავადების გამომწვევ მიკრობებს (გარდა გარკვეული, შესუსტებული ფორმებისა, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენენ). ვაქცინა უბრალოდ ასწავლის ბავშვის იმუნურ სისტემას, როგორ დაიცვას თავი მომავალში.
- გვერდითი ეფექტები უმეტესად უმნიშვნელოა და დროებითი - აცრის შემდეგ შესაძლოა განვითარდეს ტემპერატურის მცირე მატება, ინექციის ადგილის სიწითლე ან მსუბუქი გაღიზიანება — ეს ნორმალური რეაქციაა, რომელიც მიუთითებს, რომ ორგანიზმი იწყებს იმუნიტეტის ფორმირებას.
- სარგებელი ბევრად აღემატება შესაძლო რისკს - ვაქცინებით სშესაძლებელია იმ სერიოზული დაავადებების თავიდან აცილება, რომლებიც შეიძლება გართულდეს ან

სიცოცხლესაც კი შეუქმნას საფრთხე. მცირე გვერდითი მოვლენები ამასთან შედარებით უმნიშვნელოა და სწრაფად გაივლის..

ყოველ წელს მილიონობით ბავშვი იკეთებს სხვადასხვა ვაქცინას და აგრძელებს ჯანსაღ და სრულფასოვან ცხოვრებას.

6. აქვს თუ არა ვაქცინებს გვერდითი მოვლენები?

ვაქცინამ, ისევე როგორც ნებისმიერმა მედიკამენტმა, შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი გვერდითი მოვლენები. ამ გვერდითი მოვლენების უმეტესობა ძალიან უმნიშვნელოა. ასეთია, მაგალითად, ტემპერატურის მატება, ტკივილი, შეშუპება ან სიწითლე ინექციის ადგილზე. ეს გვერდითი მოვლენები რამდენიმე დღეში ჩარევის გარეშე ქრება.

მძიმე ან ხანგრძლივი გვერდითი მოვლენები ძალზედ იშვიათია. ამ იშვიათი გვერდითი მოვლენების გამოსავლენად მუდმივად მიმდინარეობს ვაქცინების უსაფრთხოების მონიტორინგი.

7. არის თუ არა კავშირი ვაქცინებსა და აუტიზმს შორის?

ბოლო წლების ვაქცინების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე საზიანო და გახმაურებული დაპირისპირება დაიწყო კვლევით, რომელიც იკვლევდა წითელას და წითელას ვაქცინის შესაძლო როლს ნაწლავის ანთებითი დაავადების (IBD) განვითარებაში. შემდგომში ეს კვლევა გადაიზარდა სპეკულაციურ ჰიპოთეზაში, რომელიც გულისხმობდა აუტიზმის განვითარების შესაძლო კავშირს წითელას, წითურას და ყბაყურას (წწყ) კომბინირებულ ვაქცინასთან

1998 წელს, ენდრიუ უეიკფილდმა და მისმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს კვლევა, სადაც წწყ ვაქცინასა და აუტიზმს შორის შესაძლო კავშირი იყო აღწერილი. თუმცა, მოგვიანებით დადგინდა, რომ ამ კვლევას სერიოზული მეთოდოლოგიური ხარვეზები ჰქონდა და არ იყო დაცული ინტერესთა კონფლიქტი. შედეგად, 2010 წელს, The Lancet-მა უარყო და ამოიღო სტატია. ენდრიუ უეიკფილდს სამედიცინო ლიცენზია ჩამოერთვა

რამდენიმე კვლევა ჩატარდა გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, დანიაში, იაპონიასა და კანადაში, და არცერთ კვლევას არ დაუდგენია კავშირი აუტიზმის ზრდის ტენდენციებსა და წწყ ვაქცინით აცრებს შორის.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების და აუტიზმის სამეცნიერო ფონდის (U.S. CDC) პოზიცია - აუტიზმსა და ვაქცინებს შორის კავშირი არ არსებობს. ეს დასკვნა დადასტურებულია მრავალი სამეცნიერო კვლევით, რომლებმაც შეისწავლეს სხვადასხვა ტიპის ვაქცინები და ვაქცინაციის სხვადასხვა სქემები. მკვლევარებმა ასევე შეისწავლეს აუტიზმის განვითარების კავშირი, თიომერსალსა

და ვერცხლისწყალზე დაფუძნებულ კონსერვანტებთან, რომლებიც გამოიყენება ზოგიერთ ვაქცინებში და კავშირი არ დადასტურდა.

შედეგი საზოგადოებისათვის:

- უეიკფილდის ფალსიფიცირებულმა მტკიცებამ გამოიწვია: ვაქცინაციისდონის მკვეთრი ვარდნა, წითელას ეპიდემიების დაბრუნება, - ათასობით გარდაცვალება ვაქცინაციით მართვადი დაავადებებით, ვაქცინის საწინააღმდეგო მითები, რომელიც აქტუალურია მას შემდეგაც კი, რაც მსოფლიოში მილიონობით ბავშვის მონაწილეობით ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევებმა არ აჩვენა კავშირი წწყ/MMR ვაქცინასა და აუტიზმს შორის.
- 2019 წელს, ჯანმომ ვაქცინაციისადმი უნდობლობა გლობალური ჯანმრთელობის 10 მთავარ საფრთხეს შორის დაასახელა.

8. რატომ არის საჭირო ვაქცინის რამდენიმე დოზა?

მყარი იმუნიტეტის გამომუშავებისთვის, ზოგი დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის რამდენიმე დოზაა საჭირო.

ზოგი ვაქცინის შემთხვევაში პირველივე დოზაზე ვერ ხერხდება საჭირო იმუნიტეტის გამომუშავება და ამიტომ, შემდეგი დოზის/ების გაკეთებაა საჭირო. ასეთია, მაგალითად, წითელა -წითურა - ყბაყურას (წწყ) საწინააღმდეგო ვაქცინა.

არის შემთხვევებიც, როცა იმუნიტეტი დროთა განმავლობაში იკლებს და გამაძლიერებელი, ე.წ. ბუსტერ დოზაა საჭირო. ასეთია, მაგალითად, დიფთერიის, ტეტანუსის და ყივანახველას კომპონენტიანი ვაქცინები, რომელიც ბავშვს ჯერ ჩვილობაში უკეთდება რამდენჯერმე, ხოლო შემდეგ დამატებით 5, 14 წლის და უფროს ასაკში შესაფერისი ვაქცინებით.

გრიპის შემთხვევაში კი, ვაქცინაცია ყოველ წელსაა რეკომენდებული, რადგან ყოველ წელს ვირუსის ახალი ვარიანტები ჩნდება და განმეორებითი აცრა უფრო მეტ დაცულობას განაპირობებს.

აცრების კალენდრით რეკომენდებული ყველა დოზის მიღება ნიშნავს, რომ თქვენი შვილი, განსაკუთრებით ჩვილები და მცირეწლოვანი ბავშვები დაცულები იქნებიან საშიში ინფექციური დაავადებებისგან.

9. შემიძლია დავაგვიანო ვაქცინაცია ან სხვა განრიგს მივყევ?

მცირეწლოვან ბავშვებში დაავადების განვითარების რისკი ყველაზე მაღალია. თუ დაავადანებთ ვაქცინის გაკეთებას და დაარღვევთ იმუნიზაციის ეროვნული კალენდრით განსაზღვრულ ვადებს, ბავშვი ვერ იქნება სათანადოდ დაცული საშიში ინფექციური დაავადებებისაგან და სწორედ ამ პერიოდში იზრდება დაინფიცირების რისკი.

ზოგჯერ შესაძლებელია ვაქცინაციის გადადება ან გრაფიკის კორექტირება, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს ექიმთან შეთანხმებით. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს დროებითი უკუჩვენება (მაგ., მაღალი ტემპერატურა ან მწვავე დაავადება),

10. შეიძლება ბავშვის აცრა თუ ის ავადია?

გაითვალისწინეთ, თუ ბავშვს აღენიშნება საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება მკაფიოდ გამოხატული კლინიკური ნიშნებით ტემპერატურით და/ან მის გარეშე - ვაქცინაცია არ ტარდება გამოჯანმრთელებამდე.

ზემო სასუნთქი გზების მსუბუქი დაავადება სიცხით ან მის გარეშე; დიარეა (ინტოქსიკაციის გარეშე), ანემია არ ითვლება ვაქცინაციის გადადების მიზეზად, კონკრეტულ შემთხვევაზე რჩევას თქვენი პედიატრი მოგცემთ.

თუ მოგიწიათ ვაქცინაციის გადადება რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, ამ შემთხვევაში, ექიმის კონსულტაციის მიხედვით, აცრები უნდა გაგრძელდეს ასაკის შესაბამისი ვაქცინით და აცრების რეკომენდებული სქემით.

11. საჭიროა ბავშვის აცრა, თუ ის ისევ დედის რძით იკვებება?

დიახ, დედის რძეზე მყოფი ბავშვებიც საჭიროებენ ინფექციებისგან დაცვას.

დედის რძე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის იმუნიტეტის ჩამოყალიბებისთვის.

დედის რძე იცავს, მაგრამ დროებითად და არასრულიად. დედის რძეში მართლაც არის ანტისხეულები - ისინი ეხმარებიან ახალშობილს ზოგიერთი ინფექციისგან დაცვაში, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ თვეებში.

მაგრამ ეს დაცვა მოქმედებს მხოლოდ იმ დაავადებებზე, რომლებიც დედამ უკვე გადაიტანა ან აცრილია. თუმცა ეს იმუნიტეტი დროთა განმავლობაში კლებულობს ვერ იცავს ყველა გადამდები დაავადებისგან (მაგ., დიფთერია, ყივანახველა, პოლიო, წითელა, წითურა და სხვა).

ვაქცინაცია კი ქმნის მყარ და გრძელვადიან იმუნიტეტს, ასწავლის ბავშვის ორგანიზმს, როგორ დაიცვას თავი კონკრეტული ინფექციებისგან - ასე ყალიბდება საკუთარი, ძლიერი იმუნიტეტი, რომელიც რძის ანტისხეულებზე აღარ არის დამოკიდებული.

ძუძუთი კვება და ვაქცინაცია ერთმანეთს აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება

ვაქცინები არ "ანეიტრალებს" დედის რძეს და არც რძე ასუსტებს ვაქცინის მოქმედებას.

პირიქით - ძუძუთი კვება შეიძლება დაეხმაროს ბავშვს ვაქცინაციის შემდეგ უკეთ გადაიტანოს რეაქციები (მაგალითად, სიცხე ან მცირე დისკომფორტი).

12. თუ ბავშვი ჯერ ბაღში და სკოლაში არ დადის, მაინც საჭიროა ვაქცინაცია?

დიახ, საჭიროა. დაავადებების რისკი იმ ბავშვებსაც აქვთ, რომლებიც ჯერ საბავშვო ბაღში ან სკოლაში არ დადიან. მათი ინფიცირება შესაძლოა მოხდეს ოჯახის სხვა წევრებისგან, სტუმრებისგან, სათამაშო მოედნებსა თუ მაღაზიებში.

ბევრი ინფექციური დაავადება განსაკუთრებით სახიფათოა მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, ამიტომ მათი რეკომენდებულ ასაკში ვაქცინაცია აუცილებელია.

13. ხასიათდება თუ არა აპგ საწინააღმდეგო ვაქცინები გრძელვადიანი გვერდითი მოვლენებით?

ამჟამად არსებული აპგ-ს საწინააღმდეგო სამივე ვაქცინა ყველაზე უსაფრთხო და გამოცდილ ლიცენზირებულ ვაქცინათა რიცხვს მიეკუთვნება. გრძელვადიანი გვერდითი მოვლენების დამადასტურებელი სანდო მტკიცებულებები არ არსებობს.

ნებისმიერი ვაქცინის ან წამლის მსგავსად, აპგ-ის საწინააღმდეგო ვაქცინასაც შეუძლია გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები. გვერდითი მოვლენები ხანმოკლე და მსუბუქი ხასიათისაა და ძირითადად მოიცავს ტკივილს ინექციის მიდამოში. კლინიკურად სერიოზული სიგნალები აპგ-ის საწინააღმდეგო ვაქცინის უსაფრთხოებასთან მიმართებით აღწერილი არ არის.

14. მსმენია, რომ წწყ/MMR ვაქცინა წარმოებულია ინდოეთში და არა ევროპაში. ნამდვილად შეიძლება ვენდოთ მის ხარისხს?

წწყ ვაქცინას მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა აწარმოებს, მათ შორისა, აშშ, გაერთიანებული სამეფო, ინდოეთი, ბრაზილია, ჩინეთი, დანია, ინდონეზია, იტალია, ავსტრალია და სხვა. ინდოეთში წარმოებული წწყ/MMR ვაქცინა პრეკვალიფიცირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ და სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ ხარისხის, ეფექტურობის და უსაფრთხოების მკაცრ სტანდარტებს.

ინდოეთი ვაქცინების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია და მის მიერ წარმოებული პროდუქცია დიდი სანდოობით სარგებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოში იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმო-ს მიერ პრეკვალიფიცირებული ვაქცინები, რაც მათი ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გარანტიაა.

15. „მე მჯერა, რომ ღმერთი დაიცავს ჩემს შვილს. რატომ უნდა ავცრა?“

ბევრ მორწმუნე ადამიანს მიაჩნია, რომ ვაქცინა სწორედ ის საშუალებაა, რომელიც ღმერთმა მოგვცა ჩვენი და ჩვენი შვილების დასაცავად მძიმე დაავადებებისგან. უფლის რწმენა და მეცნიერების მიღწევების გამოყენება არ არის ურთიერთწინააღმდეგობაში - ისინი ერთად გვაძლევენ შესაძლებლობას, სიყვარულით და პასუხისმგებლობით ვიზრუნოთ ჩვენი შვილებისა და ოჯახების ჯანმრთელობაზე.

როდესაც ჩვენს შვილებს ვკვებავთ ჯანსაღად, ვაცმევთ ზამთარში თბილად და მიგვყავს ექიმთან ჯანმრთელობის პრობლემების დროს - ვაქცინაციაც იმავე ზრუნვის ნაწილი უნდა იყოს. შენ შეგიძლია გჯეროდეს, რომ ღმერთი დაიცავს შენს შვილს და ამავდროულად გამოიყენო ვაქცინა, როგორც იმ დაცვის ნაწილი, რომელსაც თავად ღმერთი გვაძლევს.

რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს ავსებს, როცა მიზანია ბავშვის სიყვარული, დაცვა და ჯანმრთელობა.

16. როგორია ვაქცინების შემადგენლობა და შემუშავების ტექნოლოგიები ?

ვაქცინები ერთმანეთისგან განსხვავდება **შემადგენლობითა და ტექნოლოგიით**, თუმცა ყველა მათგანი შექმნილია ერთი მიზნისთვის — **დააცვას ორგანიზმი ინფექციური დაავადებებისგან უსაფრთხო გზით**. დღეს გამოიყენება ვაქცინების რამდენიმე ძირითადი ტიპი:

ცოცხალი ატენუირებული ვაქცინები

შეიცავს ცოცხალ, მაგრამ დასუსტებულ ვირუსს ან ბაქტერიას, რომელიც დაავადებას არ იწვევს, თუმცა აყალიბებს ძლიერ და ხანგრძლივ იმუნიტეტს. მაგალითად: ბცქ, როტავირუსის ვაქცინა, წყვ (MMR).

სუბერთეულიანი, რეკომბინანტული, პოლისაქარიდული და კონიუგირებული ვაქცინები

შეიცავს მხოლოდ ვირუსის ან ბაქტერიის კონკრეტულ ნაწილს (მაგალითად, ზედაპირულ ცილას ან გარსის შაქარს – პოლისაქარიდს), რის გამოც გამოირჩევა მაღალი უსაფრთხოებით. ხშირად შეიცავს **ადიუვანტებს** — დამხმარე ნივთიერებებს, რომლებიც აძლიერებს იმუნურ პასუხს.

მაგალითად: გრიპის, HPV (აპვ), პნევმოკოკის, ჰეპატიტი B-ის ვაქცინები.

ტოქსოიდები

შეიცავს ინაქტივირებულ ტოქსინებს (ტოქსოიდებს), რომლებიც მიიღება დაავადებების გამომწვევი ბაქტერიებიდან და ასტიმულირებს იმუნურ პასუხს ტოქსინების მიმართ. მაგალითად: დიფთერიისა და ტეტანუსის კომპონენტის ვაქცინები (Td).

ინაქტივირებული ვაქცინები

შეიცავს დახოცილ ვირუსს ან ბაქტერიას, რომელიც ვერ მრავლდება. უსაფრთხოა, თუმცა ხშირად საჭიროებს რამდენიმე დოზას ან გამამდიერებელ (ბუსტერ) დოზებს. მაგალითად: ცოფის, ჰეპატიტი A-ს, ინაქტივირებული პოლიომიელიტის და გრიპის ვაქცინები.

ვირუსული ვექტორის ვაქცინები

იყენებს უვნებელ ვირუსს როგორც „მატარებელს“, რომელმაც ორგანიზმს უნდა მიაწოდოს სხვა ვირუსის ინფორმაცია. ასეთი ვაქცინები არ შეიცავს ცოცხალ მიზნობრივ ვირუსს. მაგალითად: ებოლას და COVID-19-ის ვაქცინები (AstraZeneca, Johnson & Johnson).

რნმ მესენჯერული (mRNA) ვაქცინები

შეიცავს მხოლოდ დროებით ინსტრუქციას (რნმ), რომელიც უჯრედებს ასწავლის, როგორ შექმნან ვირუსის უვნებელი ცილა. ეს ტექნოლოგია სწრაფად იწარმოება და ადვილად მორგებადია ახალი შტამებისთვის. მაგალითად: COVID-19-ის ვაქცინები (Pfizer-BioNTech, Moderna).

დნმ (DNA) ვაქცინები

მსგავსია mRNA ვაქცინების, თუმცა შეიცავს დნმ-ს, რომელიც უჯრედში მოხვედრის შემდეგ იწყებს საჭირო ცილის წარმოქმნას. მაგალითად: COVID-19-ის ვაქცინა ZyCoV-D.

17. რა განსხვავებაა ახალი ტრადიციულ/ძველ ვაქცინებს შორის?

ახალ და ტრადიციულ ვაქცინებს შორის მთავარი განსხვავება მდგომარეობს წარმოების ტექნოლოგიაში და მოქმედების მექანიზმში, ხოლო უსაფრთხოება და ეფექტურობა ორივე შემთხვევაში მკაცრად არის შეფასებული და კონტროლირებული.

ტრადიციული ვაქცინები ხშირად მზადდება ცოცხალი დასუსტებული ან ინაქტივირებული ვირუსების ან ბაქტერიების გამოყენებით. მათი განვითარება შესაძლოა წლები გაგრძელდეს, რადგან საჭიროა გამომწვევის გაზრდა და გასუფთავება ლაბორატორიულ პირობებში.

თანამედროვე („ახალი“) ვაქცინების შემთხვევაში, საკმარისია დაავადების გამომწვევის გენეტიკური ან სტრუქტურული ინფორმაციის იდენტიფიცირება, რაც ვაქცინის უფრო სწრაფად შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ეს პროცესი არ ნიშნავს ხარისხის ან უსაფრთხოების კომპრომისს, არამედ ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, ცოცხალი ვაქცინებით ძალიან იშვიათად შეიძლება განვითარდეს მსუბუქი ინფექციის მსგავსი რეაქცია, ხოლო ზოგიერთი ვაქცინა შეიძლება

უკავშირდებოდეს ალერგიულ რეაქციებს კონკრეტულ კომპონენტებზე (მაგალითად, კვერცხის ცილაზე).

თანამედროვე ვაქცინები კი ცოცხალ ვირუსს არ შეიცავს და ინფექციას ვერ იწვევს. მათ მიერ გამოწვეული რეაქციები, როგორცაა ცხელება, დაღლილობა ან ტკივილი ინექციის ადგილზე, როგორც წესი მსუბუქი, ხანმოკლე და თვითგავლადია, და მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზმი იმუნურ პასუხს აყალიბებს.

18. გამოიყენება თუ არა ნანოტექნოლოგიები, დნმ/რნმ კომპონენტები

დიახ, ზოგიერთ თანამედროვე ვაქცინაში გამოიყენება ნანოტექნოლოგია იმისთვის, რომ ვაქცინის აქტიურმა მასალამ უსაფრთხოდ და ეფექტურად მიაღწიოს უჯრედებამდე. ეს ტექნოლოგია არ არის ახალი და მედიცინაში გამოიყენება წლებია.

მაგალითად, რნმ (mRNA) ვაქცინები უჯრედებს გადასცემს მხოლოდ დროებით ინსტრუქციას, თუ როგორ შექმნან დაავადების გამომწვევი ვირუსის ერთ-ერთი უვნებელი ცილა (მაგალითად, COVID-19-ის „სპაიკ“ ცილა). ეს ცილა არ იწვევს დაავადებას, არამედ მხოლოდ „აჩვენებს“ იმუნურ სისტემას, როგორ ამოიცნოს ვირუსი.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ რნმ არ შედის უჯრედის ბირთვში, არ ეხება გენებს და არ ცვლის ადამიანის გენეტიკურ კოდს. ინსტრუქციის გადაცემის შემდეგ რნმ სწრაფად იშლება ორგანიზმში, ხოლო დარჩენილი დაცვის მექანიზმი — იმუნური მეხსიერება — უზრუნველყოფს დაავადებისგან დაცვას.

19. არსებობს თუ არა პროტეინული მასალები ვაქცინებში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ცილოვანი კომპონენტების რაოდენობა ვაქცინებში ძალიან მცირეა და მკაცრად კონტროლდება საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად. მსგავსი ცილები ორგანიზმს ყოველდღიურად ხვდება საკვებთან ერთად, და ვაქცინაში არსებული რაოდენობა მათზე გაცილებით ნაკლებია. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეს კომპონენტები სრულიად უსაფრთხოა და არ იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს. განსაკუთრებული სიფრთხილე საჭიროა მხოლოდ იმ პირებისთვის, ვისაც წარსულში ჰქონია მძიმე ალერგიული რეაქცია კონკრეტულ ვაქცინის კომპონენტზე — ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება ექიმის შეფასების საფუძველზე.

ვაქცინაში შესაძლებელია იყოს:

- საკუთარი ანტიგენების (ვირუსის ან ბაქტერიის) ცილები. ეს არის ვაქცინის მთავარი აქტიური კომპონენტი, რომელიც იმუნურ სისტემას ასწავლის „მტრის ამოცნობას“
- პროტეინული ნარჩენები წარმოების პროცესიდან. ზოგიერთი ვაქცინა მზადდება კვერცხზე, რის გამოც შეიძლება მასში იყოს მცირე რაოდენობის ცილოვანი ნარჩენები და ასევე ჟელატინი, რომელიც გამოიყენება როგორც სტაბილიზატორი.

სტაბილიზატორები გამოიყენება ვაქცინებში აქტიური ინგრედიენტების მთლიანობის დასაცავად წარმოების, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს.

20. შესაძლებელია თუ არა აცრა ალერგიის ან ატოპიური დერმატიტის დროს?

თუ დერმატიტი მსუბუქი ან საშუალო ფორმისაა - აცრა შეიძლება ჩატარდეს ჩვეულებრივად.

თუ გამწვავებულია (მძიმე ფორმა, ფართო გამონაყარი, ძლიერი ქავილი) - უმჯობესია აცრა გადაიდოს, სანამ მდგომარეობა არ დასტაბილურდება.

აცრა არ იწვევს დერმატიტის გამწვავებას, თუმცა იშვიათ შემთხვევაში დროებით გაუარესება შეიძლება მოხდეს, რაც ჩვეულებრივ გადამავალია.

ალერგია (ასთმა, პოლინოზი, ეკზემა, დიათეზი) აცრის უკუჩვენებას არ წარმოადგენს. **გამონაკლისია:**

- მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე;
- ანაფილაქსიური რეაქცია კვერცხის ცილაზე - აცრა ტარდება ქათმის ფიბრობლასტით ან ადამიანის დიპლოიდურ უჯრედებზე დამზადებული ვაქცინებით.

გაითვალისწინეთ, თუ ბავშვს ან ზრდასრულ ადამიანს აქვს საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება მკაფიოდ გამოხატული კლინიკური ნიშნებით ტემპერატურით და/ან მის გარეშე - **ვაქცინაცია არ ტარდება გამოჯანმრთელებამდე.**

21. თუ ბავშვს უკვე აქვს ალერგია- ვაქცინა უსაფრთხოა?

ალერგია (ასთმა, პოლინოზი, ეკზემა, დიათეზი) აცრის უკუჩვენებას არ წარმოადგენს. **გამონაკლისია:**

- მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე;
- ანაფილაქსიური რეაქცია კვერცხის ცილაზე - აცრა ტარდება ქათმის ფიბრობლასტით ან ადამიანის დიპლოიდურ უჯრედებზე დამზადებული ვაქცინებით.

გაითვალისწინეთ, თუ ბავშვს ან ზრდასრულ ადამიანს აქვს საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება მკაფიოდ გამოხატული კლინიკური ნიშნებით ტემპერატურით და/ან მის გარეშე - **ვაქცინაცია არ ტარდება გამოჯანმრთელებამდე.**

22. რატომ კეთდება აცრა ბარძაყის გარეთა ზედაპირზე?

ახალშობილების და ჩვილების ვაქცინაცია ფეხში უკეთდებათ, რადგან ბარძაყის კუნთი დიდი და კარგად განვითარებულია, რაც უზრუნველყოფს ინექციის უსაფრთხოებას და

ეფექტურობას. ეს ადგილი უპირატესობას ანიჭებს მხართან შედარებით მანამ, სანამ ბავშვი არ გაიზრდება, მხრის შუა მესამედის გარეთა ზედაპირის კუნთოვანი მასა არ არის საკმარისი ვაქცინის სათანადოდ შესაყვანად და შეიძლება გამოიწვიოს ნერვის ან სისხლძარღვების დაზიანება.

23. რამდენად საშიშია აცრის ადგილზე შეშუპება?

შეშუპება, სიმაგრე ან სიწითლე აცრის ადგილზე, ნორმალური იმუნური პასუხია ვაქცინაციაზე. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმი რეაგირებს აცრაზე და იწყებს იმუნიტეტის გამომუშავებას. ეს სიმპტომები ჩვეულებრივ გრძელდება 1 - 3 დღე და შემდეგ ქრება თავისით.

24. უნდა დაყოვნდეს თუ არა ვაქცინირებული პირი აცრის შემდეგ კლინიკაში?

ვაქცინაციის შემდეგ პირი უნდა დარჩენს სამედიცინო დაწესებულებაში მინიმუმ 30 წუთის განმავლობაში იშვიათი, მაგრამ სერიოზული ალერგიული რეაქციის, მაგალითად, ანაფილაქსიის მონიტორინგისა და დაუყოვნებლივი მკურნალობის მიზნით.

ეს ლოდინის პერიოდი საშუალებას აძლევს ჯანდაცვის სპეციალიტებს სწრაფად მართონ ნებისმიერი არასასურველი რეაქცია და უზრუნველყონ ბავშვის უსაფრთხოება სახლში წასვლამდე.

25. ცდიან თუ არა ვაქცინებში იმ კომპონენტებს, რომლებიც ადამიანებზე გამოიყენება?

ვაქცინის ყველა კომპონენტი გადის მკაცრ მრავალსაფეხურიან და ხანგრძლივ ტესტირებას. ეს პროცესი მოიცავს როგორც ცხოველებზე კვლევებს, ისე ადამიანებზე კლინიკურ გამოცდებს.

წინა კლინიკურ კვლევებში მეცნიერები ამოწმებენ, როგორ რეაგირებს ვაქცინა ცხოველებში, ამ ეტაპზე იკვლევენ, არის თუ არა ტოქსიკური, ალერგიული ან არაეფექტური კომპონენტი. მხოლოდ უსაფრთხო ვაქცინები გადადიან შემდეგ საფეხურზე.

ვაქცინა ფართოდ დაინერგვამდე გადის კლინიკური კვლევის სამ მთავარ ფაზას: I ფაზაში მონაწილეობს 100-მდე ჯანმრთელი მოხალისე და იკვლევენ უსაფრთხოებას და დოზირებას; II ფაზაში ასეულობით ადამიანია ჩართული და ამოწმებენ იმუნურ პასუხს და გვერდით ეფექტებს; III ფაზაში ათასობით ადამიანია ჩართული და ადარებენ ვაქცინირებულ და არავაქცინირებულ ჯგუფებს - ამოწმებენ, მუშაობს თუ არა ვაქცინა და რამდენად უსაფრთხოა.

ყველა შედეგი მკაცრად მოწმდება დამოუკიდებელი სამეცნიერო და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (მაგ. WHO, EMA,

FDA). დანერგვის შემდგომ გრძელდება დაკვირვება ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. თუ იშვიათი გვერდითი ეფექტი დაფიქსირდება, სისტემა მაშინვე რეაგირებს (მაგ. შეჩერება ან დამატებითი კვლევა).

26. მართალია თუ არა, რომ აცრებმა შეიძლება გამოიწვიოს აუტოიმუნური პროცესები ან ემბრიონის დაზიანება?

ამჟამინდელი კვლევები მიუთითებს, რომ ვაქცინები ძალიან იშვიათად იწვევს აუტოიმუნურ დაავადებებს და თუ ისინი იწვევენ, აუტოიმუნური პროცესების განვითარების რისკი გაცილებით დაბალია, ვიდრე იგივე მდგომარეობის ბუნებრივი ინფექციიდან განვითარების რისკი.

ფართომასშტაბიანი ეპიდემიოლოგიური კვლევებით ვერ იქნა ნაპოვნი მიზეზობრივი კავშირი გავრცელებულ ვაქცინებსა და სისტემურ აუტოიმუნურ დარღვევებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მყარი მტკიცებულებები არ ადასტურებს ფართო მიზეზობრივ კავშირს, სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია რამდენიმე, განსაკუთრებით იშვიათი შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ვაქცინები დაკავშირებულია აუტოიმუნური მოვლენების დაბალ რისკთან.

ემბრიონის დაზიანება - ვაქცინები, რომლებიც გამოიყენება ორსულებში (მაგალითად, გრიპის და ტეტანუსის კომპონენტებიანი ვაქცინები), შესწავლილია და უსაფრთხოდ არის მიჩნეული როგორც დედისთვის, ისე ნაყოფისთვის. ცოცხალი ვაქცინები (მაგ. წითელა, წითელა, ყბაყურა) არ გამოიყენება ორსულობის დროს სიფრთხილის გამო, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ ისინი იწვევენ ემბრიონის დაზიანებას, თუკი აცრა შემთხვევით გაკეთდა.

27. ზაფხულში უნდა ავცრა თუ არა ბავშვი?

ვაქცინაცია წლის სეზონზე არ არის დამოკიდებული.

ვაქცინები იცავენ ბავშვს ინფექციებისგან მთელი წლის განმავლობაში, ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, ზამთარია თუ ზაფხული — აცრები უნდა გაკეთდეს ეროვნული კალენდარის მიხედვით.

აცრის გადადება შეიძლება დაავიანოს ინფექციისგან დაცვა - თუ აცრას ზაფხულში გადადებთ, ბავშვი დარჩება დაუცველი იმ ინფექციების მიმართ, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება გავრცელდეს (მაგალითად, ყივანახველა, წითელა, პოლიომიელიტი და სხვ.).

აცრების ჩატარება უსაფრთხოა ზაფხულში, რადგან ვაქცინები არ კარგავს ხარისხს და ეფექტურობას, რადგან ინახება მისთვის განსაზღვრულ ტემპერატურაზე სათანადო წესების დაცვით ბავშვის ორგანიზმს ზაფხულის სიცხე არ უშლის ხელს იმუნური პასუხის გამომუშავებაში.

28. რატომ უნდა ვენდო ვაქცინებს და სად შეიძლება ვიპოვო სანდო ინფორმაცია?

რატომ უნდა ვენდო ვაქცინაციას

ვაქცინები ჯანმრთელობის დაცვის საიმედო გზაა. საუკუნეების განმავლობაში ვაქცინებმა გადაარჩინა მილიონობით სიცოცხლე და თავიდან აგვაცილა ისეთი საშიში დაავადებები, როგორიცაა ყვავილი, პოლიომიელიტი და ტეტანუსი.

ვაქცინები მკაცრად მოწმდება, რადგან დამტკიცებამდე, თითოეული ვაქცინა გადის წლების განმავლობაში მიმდინარე მრავალეტაპიან კვლევებს.

მათი უსაფრთხოებას აკვირდება ისეთი ორგანოები, როგორიცაა EMA, FDA და WHO.

ვაქცინების დამტკიცების შემდეგაც მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, იშვიათი გვერდითი მოვლენების გამოსავლენად.

ვაქცინაცია ეფუძნება საუკეთესო სამეცნიერო მტკიცებულებებს.

მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციები – WHO, CDC, EMA – ადასტურებენ ვაქცინების უსაფრთხოებასა და საჭიროებას.

ვაქცინაცია დაბალი რისკის შემცველი და მაღალი სარგებლის მომტანი ინტერვენციაა

ვაქცინების გვერდითი მოვლენები უმეტესად მსუბუქი და ხანმოკლეა (მაგ. ტკივილი აცრის ადგილზე, დაბალი სიცხე).

იმავე დაავადებებს კი, რომლებისგანაც ისინი გვიცავენ, შეუძლია გამოიწვიოს მძიმე გართულება ან სიკვდილი.

ვაქცინაცია იცავს მთელ საზოგადოებას - როდესაც ადამიანების დიდი ნაწილი აიცრება, იქმნება კოლექტიური/საზოგადოებრივი იმუნიტეტი, რაც აფერხებს დაავადების გავრცელებას, ეს კი იცავს ყველაზე დაუცველებს - ჩვილებს, ხანდაზმულებს და ადამიანებს იმუნური სისტემის პრობლემებით.

ვაქცინები – ეს არის მეცნიერებაზე დაფუძნებული, უსაფრთხო და ეფექტური გზა ჩვენი და საზოგადოების ჯანმრთელობის დასაცავად.

სად ვიპოვოთ სანდო ინფორმაცია

ვაქცინებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებისას, მიმართეთ სანდო რგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ დადასტურებული სამედიცინო და სამეცნიერო კვალიფიკაცია. ფრთხილად იყავით სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული ისტორიების მიმართ და შეამოწმეთ, რომ ნებისმიერი მტკიცება დადასტურებული სამეცნიერო მტკიცებულებებით არის გამყარებული.

თქვენი ექიმი ან ჯანდაცვის სხვა სპეციალისტი ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყაროა და მათ შეუძლიათ უპასუხონ თქვენს კონკრეტულ კითხვებს ან შემოგთხუთონ.

დკსჯეც - www.ncdc.ge (მიმდინარეობს განახლება)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია - <https://www.who.int/news-room/questions-and-answers/item/vaccines-and-immunization-what-is-vaccination>;

დაავადებების კონტროლის და პრევენციის ცენტრი/აშშ (CDC)
<https://www.cdc.gov/vaccines/hcp/vis/about/vis-faqs.html>

29. რატომ არის აუცილებელი ვაქცინაციის თანმიმდევრობის დაცვა?

ვაქცინაციის თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია, რომ იმუნურმა სისტემამ უზრუნველყოს დაცვა კონკრეტული დაავადებებისგან ყველაზე ეფექტური პერიოდის განმავლობაში. აცრების გრაფიკი შემუშავებულია იმისთვის, რომ დაიცვას ვაქცინირებული პირი მაშინ, როდესაც ის ყველაზე დაუცველია. ეს ვადები ეფუძნება სამეცნიერო მტკიცებულებებს და დაგეხმარებათ დაიცვათ თავი სერიოზული, პოტენციურად სიცოცხლისთვის საშიში დაავადებებისგან, სწორი ვაქცინის სწორ დროს მიწოდებით. გრაფიკის დაცვა ასევე ხელს უწყობს დაავადებების აფეთქების თავიდან აცილებას, რადგან უზრუნველყოფს კოლექტიური იმუნიტეტის გაძლიერებას, რაც იცავს მათ, ვისთვისაც ვაქცინაცია არ არის შესაძლებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

30. როგორ განისაზღვრება ვაქცინაციის მიზნობრიობა?

ვაქცინაციის მიზნობრიობა განისაზღვრება სამეცნიერო მტკიცებულებების საფუძველზე და პასუხობს კითხვებს:

- ვის,
- როდის და
- რატომ სჭირდება კონკრეტული აცრა.

მიზნობრიობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია:

- დაავადების გადაცემის გზები;
- ასაკთან დაკავშირებული რისკები და შესაძლო გართულებები;
- ინფიცირების შემთხვევაში დაავადების სიმძიმე სხვადასხვა ასაკში;
- იმუნური სისტემის განვითარების ეტაპები;
- ვაქცინის ეფექტიანობა და უსაფრთხოება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ვაქცინები არ ინიშნება ქცევის ან ცხოვრების წესის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, როდის არის ადამიანი ყველაზე დაუცველი და როდის უზრუნველყოფს აცრა ყველაზე ეფექტურ და ხანგრძლივ დაცვას.

ამიტომ ბევრი ვაქცინა კეთდება ადრეულ ასაკში, როცა დაავადება შეიძლება განსაკუთრებით მძიმე იყოს ან როცა მოგვიანებით დაცვა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს.

31. თუ B ჰეპატიტი სქესობრივი გზით გადამდებია, ჩვილების ვაქცინაცია რატომასა სჭირო?

მიუხედავად იმისა, რომ B ჰეპატიტი შეიძლება გადაეცეს სქესობრივი გზით, ის მხოლოდ სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია (სგგდი) არ არის.

B ჰეპატიტი ასევე გადადის:

- მშობიარობის დროს დედიდან ბავშვზე;
- ინფიცირებული სისხლით ან სისხლის შემცველი სითხეებით;
- სამედიცინო ან საყოფაცხოვრებო კონტაქტის დროს (ჭრილობებით, არაადეკვატური სტერილიზაციის შემთხვევაში).

ჩვილებისთვის ინფიცირება განსაკუთრებით საშიშია, რადგან:

- სიცოცხლის პირველ წელს ინფიცირებისას შემთხვევათა დაახლოებით 90%-ში ვითარდება ქრონიკული ჰეპატიტი;
- ქრონიკული ინფექცია ზრდის ღვიძლის ციროზისა და კიბოს განვითარების რისკს ზრდასრულ ასაკში.

ამიტომ B ჰეპატიტის ვაქცინაცია ტარდება ადრეულ ასაკში, რათა:

- ბავშვი დაცული იყოს როგორც ახლავე, ისე მომავალშიც;

- თავიდან ავიცილოთ მძიმე და შეუქცევადი გართულებები.

მნიშვნელოვანია იცოდეთ:

B ჰეპატიტის აცრა არ უკავშირდება ბავშვის ქცევას.

ეს არის **ჯანმრთელობის დაცვის წინასწარი ნაბიჯი** და მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა.

32. როგორ მოვიქცე ბავშვის გეგმიური აცრის შემდეგ?

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაციის შემდეგ სპეციალური რეჟიმი, როგორც წესი, საჭირო არ არის, თუმცა რამდენიმე მარტივი რეკომენდაციის დაცვა დაგეხმარებათ ბავშვის უსაფრთხოებისა და კომფორტის უზრუნველყოფაში.

- **აცრისთანავე:**
რეკომენდებულია კლინიკაში დარჩენა **15–30 წუთის განმავლობაში**, რათა მოხდეს იშვიათი, მყისიერი ალერგიული რეაქციის გამორიცხვა.
- **პირველი 24–48 საათი სახლში:**
დააკვირდით ბავშვის საერთო მდგომარეობას, უზრუნველყავით სითხის საკმარისი მიღება და დასვენება.
ნორმალურ რეაქციებად ითვლება:
 - აცრის ადგილის ტკივილი, სიწითლე ან მსუბუქი შეშუპება;
 - ტემპერატურის მომატება;
 - გაღიზიანება, ძილიანობა ან მადის დროებითი დაქვეითება.
 ეს რეაქციები ჩვეულებრივ რამდენიმე დღეში თავისით ქრება და მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზმი იმუნურ პასუხს აყალიბებს.
- **სიცხე და დისკომფორტი:**
სიცხის დამწვევის **პრევენციულად, აცრამდე მიცემა რეკომენდებული არ არის**.
თუ აცრის შემდეგ განვითარდა სიცხე ან ტკივილი, შესაძლებელია სიცხის დამწვევის მიცემა ექიმის რეკომენდაციისა და ინსტრუქციის შესაბამისად.
- **დაბანა და ყოველდღიური აქტივობა:**
დაბანა აცრის შემდეგ უსაფრთხოა და არ ამცირებს ვაქცინის ეფექტიანობას.
თუ ბავშვი თავს კარგად გრძნობს, ბაღში ან სკოლაში დაბრუნება შესაძლებელია **მეორე დღიდან**.
მსუბუქი ყოველდღიური აქტივობა ნებადართულია, ხოლო ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა მიზანშეწონილია გადაიდოს **24 საათით**, განსაკუთრებით თუ აღინიშნება ტკივილი ან სიცხე.
- **აცრის ადგილის მოვლა:**
აცრის ადგილი უნდა იყოს სუფთა და მშრალი.

არ არის რეკომენდებული აცრის ადგილის დაზეფა ან მასაჟი, რადგან ამან შეიძლება გააძლიეროს შემუშება და ტკივილი.

როდის უნდა მივმართო ექიმს?

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ ბავშვს აღენიშნება:

- მაღალი სიცხე, რომელიც არ ექვემდებარება სიცხის დამწვეს;
- აცრის ადგილის ძლიერი ან მზარდი შემუშება და სიწითლე;
- სუნთქვის გაძნელება, კრუნჩხვა, ძლიერი ლეთარგია ან გამონაყარი მთელ სხეულზე. ეს შემთხვევები იშვიათია, თუმცა საჭიროებს დროულ სამედიცინო შეფასებას.

33. ემართებათ თუ არა კატებს ცოფი და როდის უნდა ავცრა ბავშვი ცოფზე?

დიახ, ცოფი კატებსაც ემართებათ, ისევე როგორც ძაღლებსა და სხვა ძუძუმწოვარ ცხოველებს. ცოფი არის მძიმე, უკურნებელი ვირუსული დაავადება, რომელიც გადაეცემა ინფიცირებული ცხოველის ნაკბენით, დაკაწვრით ან ნერწყვის მოხვედრით დაზიანებულ კანზე ან ლორწოვანზე.

ბავშვის ცოფზე აცრა გეგმიურად არ ტარდება. ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება მხოლოდ რისკის შემთხვევაში, ანუ მაშინ, თუ:

- ბავშვს უკბინა ან დაკაწრა კატამ, ძაღლმა ან სხვა ცხოველმა;
- ნერწყვი მოხვდა ღია ჭრილობაზე, თვალში, პირში ან ცხვირში;
- კონტაქტი მოხდა უცნობ ან ველურ ცხოველთან.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა დაუყოვნებლივ მიმართვა ექიმს, რადგან ცოფის საწინააღმდეგო აცრა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება მალე, სიმპტომების გამოვლენამდე. აცრის დაგვიანება ზრდის სიცოცხლისთვის საშიშ რისკს.

მითები და ფაქტები:

1. მართალია თუ არა, რომ წითელა-წითურა-ყბაყურას (წწყ/

/MMR) ვაქცინა იწვევს აუტიზმს?

✓ **სიმართლე:** მრავალწლიანი საერთაშორისო კვლევებით დადასტურებულია, რომ წწყ/MMR ვაქცინასა და აუტიზმს შორის კავშირი არ არსებობს.

✗ **მითი:** ზოგიერთი ადამიანი ჯერ კიდევ იზიარებს გაუქმებული კვლევის საფუძველზე გავრცელებულ მცდარ ინფორმაციას.

☞ **განმარტება:**

დოქტორმა ენდრიუ უეიკფილდმა გამოაქვეყნა (ახლა უკვე გაუქმებული) კვლევა ჟურნალ „ლანცეტში“, რომელშიც ცრუდ აკავშირებდა MMR ვაქცინას აუტიზმთან.

მოგვიანებით, ეს კვლევა თაღლითურად იქნა მიჩნეული, სერიოზული ეთიკური დარღვევებით. ჟურნალ „ლანცეტმა“ 2010 წელს სრულად გააუქმა ნაშრომი და უეიკფილდს სამედიცინო ლიცენზია ჩამოერთვა.

აღნიშნული კვლევა გაუქმებულია, თუმცა, ვაქცინის საწინააღმდეგო მითები, რომელიც აქტუალურია მას შემდეგაც კი, რაც მსოფლიოში მილიონობით ბავშვის მონაწილეობით ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევებმა არ აჩვენა კავშირი MMR ვაქცინასა და აუტიზმს შორის.

✓ **დასკვნა:** წწყ/MMR ვაქცინა იცავს ბავშვს სამი სერიოზული დაავადებისგან და სრულად უსაფრთხოა.

2. შეიძლება თუ არა ვაქცინაციამ სერიოზული გვერდითი მოვლენები, მაგალითად დიაბეტი ან ცერებრული დამბლა გამოიწვიოს?

✓ **სიმართლე:** ვაქცინები უსაფრთხოა. სერიოზული გვერდითი მოვლენები უკიდურესად იშვიათია და მათში არ შედის დიაბეტი ან ცერებრული დამბლა.

✗ **მითი:** სოციალურ ქსელებში გავრცელებული ისტორიები არ ეყრდნობა სამედიცინო მტკიცებულებებს.

☞ **განმარტება:** ამ მდგომარეობებს სხვა სამედიცინო მიზეზები აქვს. ვაქცინები გადიან მკაცრ შემოწმებას.

✓ **დასკვნა:** ვაქცინაცია არის უსაფრთხო გზა თქვენი ბავშვის ჯანმრთელობის დასაცავად.

3. შეიძლება თუ არა, ავიცრათ ბავშვი მსუბუქი გაციების ან სეზონური ვირუსის დროს?

✓ **სიმართლე:** დიახ, მსუბუქი სიმპტომები ვაქცინაციის გადადების მიზეზი არ არის.

✗ **მითი:** ზოგი თვლის, რომ აცრა მხოლოდ აბსოლუტურად ჯანმრთელ ბავშვს უნდა ჩაუტარდეს.

☞ **განმარტება:** თუ ბავშვი არ აქვს ტემპერატურა და სიმპტომები მსუბუქია, ვაქცინაცია შესაძლებელია. გადადების გამო ვაქცინაცია შეიძლება გამოგრჩეთ.

✓ **დასკვნა:** უმეტეს შემთხვევაში უმჯობესია აცრა დროულად ჩატარდეს. ექიმი დაგეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში.

4. მართალია თუ არა, რომ რეგიონებში გამოყენებული ვაქცინები განსხვავდება და ნაკლები ხარისხისაა, ვიდრე თბილისში?

✓ **სიმართლე:** იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით გამოყენებული ვაქცინები ნაწილდება თანაბრად გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად.

✗ **მითი:** არსებობს შეხედულება, რომ რეგიონებში ვაქცინები დაბალი ხარისხისაა.

💬 **განმარტება:** უსაფრთხოების და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ყველა ვაქცინა გადის ერთსა და იმავე ლოჯისტიკურ პროცესებსმწარმოებლიდან ვაქცინის მიმღებამდე.

✓ **დასკვნა:** ქვეყნის მასშტაბით, სადაც არ უნდა აცრათ თქვენი შვილი ვაქცინა იდენტური, ეფექტური და უსაფრთხოა.

5. რატომ უნდა ავცრათ ბავშვი აპვ ვაქცინით, როცა ის ახალია და ბევრი კითხვა იზადება?

✓ **სიმართლე:** აპვ ვაქცინა უსაფრთხოა და ეფექტიანია. ის იცავს კიბოსგან მომავალში. ვაქცინას გამოყენების 20 წლიანი ისტორია აქვს.

✗ **მითი:** ზოგიერთი მშობელი ეჭვობს, რადგან ვერ ხედავს უშუალო რისკს.

💬 **განმარტება:** ვაქცინა უმჯობესია ჩაუტარდეს მაშინ, როცა ბავშვი ჯერ არ არის ვირუსის ზემოქმედების ქვეშ. ის მსოფლიოში მილიონობით ბავშვს უკვე წარმატებით ჩაუტარდა.

✓ **დასკვნა:** დროული ვაქცინაცია ნიშნავს ჯანმრთელ მომავალს.

6. ინტერნეტში უამრავი შემამფოთებელი პოსტი ვნახე – როგორ დავრწმუნდე, რა არის სიმართლე?

✓ **სიმართლე:** ბუნებრივია, გქონდეთ კითხვები და ეჭვები.

✗ **მითი:** სოციალური ქსელები ხშირად არაზუსტ ან ემოციურად შეფუთულ ინფორმაციას ავრცელებენ.

💬 **განმარტება:** შეამოწმეთ ინფორმაცია ექიმთან, ან ნდობით აღჭურვილ წყაროებთან – მაგალითად, დაავადებათა კონტროლის ცენტრი (NCDC) ან UNICEF.

✓ **დასკვნა:** კითხვების დასმა ყურადღების და მზრუნველობის ნიშანია - ექიმები აქ არიან, რომ დაგეხმარონ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

7. საჭირო არის თუ არა ნევროლოგთან ვიზიტი ან სისხლის ანალიზი აცრამდე?

✓ **სიმართლე:** ვაქცინაციამდე დამატებითი გამოკვლევები, როგორიცაა ნევროლოგთან ვიზიტი ან სისხლის ანალიზი, საჭირო არ არის.

✗ **მითი:** ზოგ რეგიონში გავრცელებულია აზრი, რომ ასეთი გამოკვლევები აუცილებელია.

💬 **განმარტება:** ვაქცინაციამდე ნევროლოგის კონსულტაცია და/ან სისხლის ანალიზის გაკეთება საჭირო არ არის. ეს მოთხოვნები ვაქცინაციისადმი არასწორი მიდგომებიდან მომდინარეობს.

✓ **დასკვნა:** თუ თქვენს ბავშვს არ აქვს განსაკუთრებული სამედიცინო პრობლემა, აცრა შესაძლებელია. კითხვების შემთხვევაში ყოველთვის შეგიძლიათ ექიმს მიმართოთ — ეს გონივრული ნაბიჯია.

8. თუ ვაქცინები გამოვტოვე, უკვე გვიან ხომ არ არის?

✓ **სიმართლე:** აცრების დაწყება ნებისმიერ ასაკში სჯობს სრულ აუცრელობას ან არასრულად აცრილობას

✗ **მითი:** ზოგ მშობელს ჰგონია, რომ თუ აცრები დროულად არ გაკეთდა, აზრი აღარ აქვს.

💬 **განმარტება:** ბავშვებს, რომლებსაც არ ჩაუტარდათ ვაქცინაცია აცრების კალენდრის მიხედვით, შეუძლიათ დაეწიონ პროფილაქტიკური აცრების კალენდარს მისთვის ასაკობრივად რეკომენდებული ვაქცინით და სქემით. ამაში ექიმი დაგეხმარებათ.

✓ **დასკვნა:** ვაქცინაცია უნდა დაიწყოს ან გაგრძელდეს ასაკის შესაბამისი ვაქცინით და სათანადო ინტერვალების დაცვით — ექიმი დაგეხმარებათ დაგეგმოთ გამოტოვებული და/ან დაგვიანებული აცრა, რათა თქვენი შვილი იყოს დაცული და არ დაკარგოს შანსი იყოს ჯანმრთელი.

9. ნამდვილად საჭიროა ყველა დოზის გაკეთება თუ ერთი-ორი აცრაც საკმარისია?

✓ **სიმართლე:** აცრების სრული კურსი აუცილებელია საიმედო და ხანგრძლივი დაცვისთვის.

✗ **მითი:** ზოგიერთ მშრუნველს ჰგონია, რომ ერთი აცრაც საკმარისია ან შემდეგი დოზები არაა აუცილებელი.

💬 **განმარტება:** ვაქცინები მოქმედებს ეტაპობრივად — თითოეული დოზა აძლიერებს იმუნურ სისტემას და უზრუნველყოფს ხანგრძლივ დაცვას. პირველადი დოზები მხოლოდ “იწყებს” იმუნური პასუხის ჩამოყალიბებას, ხოლო შემდგომი დოზები ასრულებს და აძლიერებს ამ დაცვას. მხოლოდ სრული გრაფიკი უზრუნველყოფს ბავშვის სრულ და მტკიცე დაცვას.

✓ **დასკვნა:** ყოველი დოზა ამაგრებს იმუნიტეტს. დასრულებული გრაფიკი ნიშნავს სრულ დაცვას — და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენი შვილის ჯანმრთელობისთვის.

10. შესაძლებელია თუ არა, რომ ვაქცინამ ბავშვის მეტყველების შეფერხება გამოიწვიოს?

✓ **სიმართლე:** ვაქცინები არ იწვევს მეტყველების შეფერხებას.

✗ **მითი:** ზოგჯერ მშობლები აკავშირებენ ვაქცინაციას ბავშვის განვითარების თავისებურებებს, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ დროში დამთხვევაა და არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

💬 **განმარტება:** მეტყველების შეფერხება შეიძლება მრავალი მიზეზით იყოს გამოწვეული — გენეტიკური, ნევროლოგიური ან გარემო ფაქტორებით. კვლევებმა არ დაადასტურა კავშირი ვაქცინებსა და მეტყველების განვითარების შეფერხებას შორის.

✅ **დასკვნა:** თუ მიიჩნევთ, რომ თქვენს შვილს აქვს მეტყველების განვითარების შეფერხება, მიმართეთ ოჯახის ექიმს კონსულტაციისათვის. ვაქცინა არ არის ამ მდგომარეობის გამომწვევი.

11. შესაძლებელია თუ არა, რომ ვაქცინამ შეასუსტოს ბავშვის იმუნური სისტემა?

✅ **სიმართლე:** ვაქცინა აძლიერებს, და არ ასუსტებს იმუნურ სისტემას.

❌ **მითი:** ზოგი ფიქრობს, რომ აცრა „ასუსტებს“ ბავშვს და ზრდის ავადობის რისკს.

💬 **განმარტება:** ვაქცინები ასწავლის იმუნურ სისტემას, როგორ ამოიცნოს და ებრძოდეს ინფექციებს უსაფრთხო გზით. დაავადება, რომელიც შესაძლოა აცრის პერიოდს დაემთხვეს, ჩვეულებრივ არ უკავშირდება ვაქცინას.

✅ **დასკვნა:** აცრა არ ასუსტებს იმუნიტეტს — ის ქმნის დაცვას მძიმე ინფექციური დაავადებებისგან.

12. რატომ ხდება, რომ ზოგიერთი აცრილი ბავშვიც მაინც ავადდება?

✅ **სიმართლე:** ვაქცინირებული ბავშვი შეიძლება დაინფიცირდეს. თუმცა, ვაქცინირებული პირის მძიმე დაავადების რისკი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ ადამიანის, რომლის იმუნური სისტემაც მოუშადადებელია ინფექციასთან საბრძოლველად. 💬 **განმარტება:** აცრილი ბავშვი შეიძლება მაინც დაინფიცირდეს, მაგრამ დაავადება ბევრად მსუბუქად მიმდინარეობს და გართულებების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება.

✅ **დასკვნა:** ვაქცინაცია არ გამორიცხავს ინფიცირებას, მაგრამ იცავს დაავადების მძიმე ფორმებისგან.

13. რატომ არის მნიშვნელოვანი აცრა მაშინაც კი, როცა დაავადებები იშვიათია ან აღარ გვხვდება?

✅ **სიმართლე:** სწორედ ვაქცინაციის წყალობით არის ბევრი დაავადება იშვიათი — თუმცა, როდესაც აცრის მოცვა იკლებს, ისინი ბრუნდებიან.

💬 **განმარტება:** მაგალითად, წითელას შემთხვევები გაიზარდა იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებლები დაიკლო.

✓ **დასკვნა:** ვაქცინაცია ქმნის უსაფრთხო გარემოს. ის გვიცავს სწორედ იმისთვის, რომ დაავადებები არ დაბრუნდეს.

14. რა უნდა ვქნა, თუ ჩემი ოჯახის წევრები ან მეგობრები ეწინააღმდეგებიან ვაქცინაციას?

💬 **განმარტება:** მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ გადაწყვეტილება თქვენ გეკუთვნით, როგორც მშობელს. შესაძლოა მოისმინოთ სხვისი გამოცდილება, მაგრამ საბოლოოდ, ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს სამედიცინო მტკიცებულებებს და ექიმის რჩევას.

✓ **დასკვნა:** მიაქციეთ ყურადღება ბავშვის ჯანმრთელობას და დაეყრდენით სანდო წყაროებს — ექიმებს, ჯანდაცვის უწყებებსა და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ინფორმაციას.

15. მართალია თუ არა, რომ აცრის დროს ბავშვს სპეციალურად „ააინფიცირებენ“?

✓ **სიმაართლე:**

ვაქცინაციის დროს ბავშვს არ ააინფიცირებენ დაავადებით. ვაქცინები შეიცავს შესუსტებულ, დახოცილ ვირუსებს ან მათ ნაწილებს, რომლებიც დაავადებას ვერ იწვევენ, მაგრამ ასწავლიან იმუნურ სისტემას როგორ დაიცვას თავი.

💬 **განმარტება:**

ვაქცინები არ შეიცავს აქტიურ, დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმს. მათი დანიშნულებაა იმუნური სისტემის „წვრთნა“ უსაფრთხო გზით.

მაგალითად, წწყ/MMR ვაქცინა შეიცავს შესუსტებულ ვირუსებს, რომლებიც ჯანმრთელ ადამიანს დაავადებას ვერ გამოიწვევს.

ზოგჯერ აცრის შემდეგ შეიძლება განვითარდეს მსუბუქი სიმპტომები (მაგ. სიცხე ან სიწითლე), რაც არ არის ინფექცია, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზმი იმუნურ პასუხს აყალიბებს.

რეალური ინფექცია გაცილებით მძიმეა და იწვევს სერიოზულ გართულებებს, რისგანაც სწორედ ვაქცინა იცავს ბავშვს.

✓ **დასკვნა:**

ვაქცინაცია არ იწვევს დაავადებას და არ „ააინფიცირებს“ ბავშვს. ის არის უსაფრთხო და ეფექტური გზა ბავშვის დასაცავად მძიმე ინფექციური დაავადებებისა და მათი გართულებებისგან.

16. შეიძლება თუ არა ბავშვის აცრა ჰემანგიომის დროს?

✓ სიმართლე:

დიახ, ჰემანგიომა ვაქცინაციის უკუჩვენება არ არის. ჰემანგიომის არსებობა არ ზრდის აცრის გართულებების რისკს და არ არის მიზეზი ვაქცინაციის გადადებისთვის.

💬 განმარტება:

ჰემანგიომა არის სისხლძარღვოვანი კეთილთვისებიანი წარმონაქმნი და არ უკავშირდება იმუნურ სისტემას. ვაქცინაცია არ მოქმედებს ჰემანგიომის ზრდაზე ან მიმდინარეობაზე. თუ ჰემანგიომა მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ კეთდება აცრა (მაგალითად, ბარძაყზე), ექიმი უბრალოდ აირჩევს სხვა უსაფრთხო ადგილს ინექციისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰემანგიომა მკურნალობის პროცესშია, ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია ექიმის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

✓ დასკვნა:

ჰემანგიომის დროს ბავშვის აცრა შესაძლებელია და უსაფრთხოა. ვაქცინაციის გადადება მხოლოდ ჰემანგიომის გამო არ არის რეკომენდებული, რადგან ეს ზრდის ბავშვის ინფექციური დაავადებებით დაავადების რისკს.